საიდ. N 77419/03

IR 1204020

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 97-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „მოტოროლა ტრეიდმარკ ჰოლდინგზ, ლლკ.“ (Motorola Trademark Holdings, LLC) (მის.: 222 ვ. მერჩანდაიზ მარტ პლაზა სუიტ 1800, ჩიკაგო, IL 60654; 222 W. Merchandise Mart Plaza Suite 1800, Chicago, IL 60654) N97-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 17 აპრილის N1439/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „MOTOMA“ (საიდ. N77419/03,

IR1204020) მიენიჭა დაცვა საქართველოში კომპანიის „შენჟენ მოტომა პაუერ კო., ლტდ“ (Shenzhen Motoma Power Co., Ltd.) სახელზე მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „მოტოროლა ტრეიდმარკ ჰოლდინგზ, ლლკ.“ (Motorola Trademark Holdings, LLC) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნისათვის „MOTOMA“ (საიდ. N77419/03, IR1204020) დაცვის მინიჭება საქართველში, ეწინააღმდეგება ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონს, ვინაიდან არსებობს ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. აპელანტის პოზიციით, კომპანიის „შენჟენ მოტომა პაუერ კო., ლტდ.“ (Shenzhen Motoma Power Co., Ltd.) (მის.: 12/ფ, შენმაო ბილდინგ, ქსინვენ როად, ფუტიან, შენჟენ, 518000 გუანგდონგი (ჩინეთი); 12/F, Shenmao Building, Xinwen Road, Futian, Shenzhen, 518000 Guangdong (China)) სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „MOTOMA“ (საიდ. N77419/03, IR1204020) მსგავსია კომპანიის „მოტოროლა ტრეიდმარკ ჰოლდინგზ, ლლკ.“ (Motorola Trademark Holdings, LLC) სახელზე რეგისტრირებული უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნისა „MOTOROLA“ (რეგ. N11699, რეგ. თარიღი 16.03.1999), ხოლო მე-9 კლასის მიმართ საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. აპელანტის განმარტებით, ნიშნები მსგავსია, როგორც ფონეტიკურად, ისე ვიზუალურად. გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტი

„MOTOMA“, რომელიც ქართულ ენაზე წარმოითქმის , როგორც „მო-ტო-მა“, შედგება 6 ასო-ბგერისაგან და შესრულებულია სტანდარტული ასომთავრული ლათინური ასოებით. ასეთივე შესრულების ფორმით არის შესრულებული დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „MOTOROLA“, რომელიც შედგება 8 ასო-ბგერისაგან და ქართულ ენაზე გამოითქმის როგორც „მო-ტო-რო-ლა“. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების პირველი 4 ასო-ბგერა და ბოლო ასო-ბგერა იდენტურია (MOTO და A). მომხმარებელი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სმენითი აღქმისას სწორედ მსგავს ელემენტებზე ამახვილებს ყურადღებას. გარდა აღნიშნულისა, სმენითი აღქმისას ნიშნის საწყისი ნაწილით მოწოდებულ ინფორმაციას მომხმარებელი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს და უკეთ იმახსოვრებს მას. რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებულ, შუა ნაწილებს - „M“ და „ROL“, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მომხმარებლის მეხსიერებაში, როგორც წესი, რჩება სასაქონლო ნიშნის ზოგადი სახე და არა მისი ზუსტი, დეტალური აღწერილობა. ყოველდღიურ საუბარში და სარეკლამო რგოლების მოსმენისას მომხმარებელი ყურადღებას აქცევს სასაქონლო ნიშნის საწყის და ბოლო ელემენტებს. გარდა აღნიშნულისა, სასაქონლო ნიშნების ინგლისურ ენაზე წარმოთქმისას მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ფონეტიკური ნიშნით ამ ორი სასაქონლო ნიშნის მსგავსებას. აპელანტის განმარტებით, ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან ნიშნებს აქვთ ასოთა იდენტური რაოდენობა, იდენტურ ასოებს სიტყვაში აქვთ ერთი და იგივე პოზიცია, ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით, ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია შავ ფერში, ნიშნები შესრულებულია სტანდარტული ასომთავრული ასოებით. აპელანტის მითითებით, გასაჩივრებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და შედგება სტანდარტული ასომთავრული შრიფტით შესრულებული სიტყვიერი ნაწილისაგან „MOTOMA“ და მის ქვემოთ მოთავსებული ამოზნექილი რკალისაგან. გამოსახულებითი ელემენტი - რკალი ვერ ახდენს გავლენას განცხადებული სასაქონლო ნიშნის აღქმაზე და

დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანთან არსებულ მსგავსებაზე, რადგანაც გამოსახულებითი ელემენტი სასაქონლო ნიშანში არ არის დომინანტი ელემენტი, შესაბამისად, მომხმარებელი დიდი ალბათობით სასაქონლო ნიშანს „MOTOMA“ აღიქვამს როგორც სიტყვიერ ნიშანს. აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშანი „MOTOROLA“ დაცულია მე-9 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის: „ტელევიზორები, ხმის აღმდგენი მოწყობილობები ფირფიტებისა და მაგნიტური ლენტებისათვის ფირსაკრავებისა და ჩამწერი მოწყობილობების ჩათვლით; ფონოგრაფები და კასეტური ფირსაკრავები; მილაკები, ვაკუუმური მილაკების, სატელევიზიო მილაკების, ელექტრონ-სხივური მილაკების ჩათვლით, ელექტრული მარეგულირებელი მოწყობილობები, მათ შორის: ასაწყობი და მარეგულირებელი მექანიზმები ელექტრული აპარატებისათვის, ბგერითი მოწყობილობები დისტანციური მართვისათვის; რადიომიმღებები, ჩაკეტილი სატელევიზიო სისტემები; გვერდის ნუმერატორები და სამისამართო მანქანები; მიკროტელეფონები, აპარატები კავშირგაბმულობის ბგერითი და ვიდეო-სატელეფონო სისტემებისათვის; სადენიანი და უსადენო სასიგნალო და ხმოვანი მარეგულირებელი და საკომუნიკაციო აპარატები; ელექტრული გამზომი ხელსაწყოები ელექტრომთვლელების ჩათვლით; ელექტრული საცდელი მოწყობილობები, რადიო-ანტენური აპარატები და ანტენების კოშკები, ელექტრომაღლური მოწყობილობები დენის გარდაქმნისათვის, პიეზოელექტრული კრისტალური დეტექტორები კრისტალურდეტექტორიანი პიეზოელექტრული ღუმლების ჩათვლით; დისტანციური სასიგნალო სისტემები; ინდიკატორული და მარეგულირებელი მოწყობილობები სატრანსპორტო საშუალებებისათვის; გასული დროის მრიცხველები; ელექტრული ანთების აპარატები, სატელევიზიო კავშირის სისტემები, ტელემართვის სისტემები; რადარები, ცვლადი დენის გენერატორები და კომპონენტები დროის ელექტრული მრიცხველებისათვის; ნახევარგამტარები; ზემოჩამოთვლილი აპარატების ნაწილები“ და მე-9 კლასში შეტანილი ყველა

დანარჩენი საქონელი. ხოლო განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-9 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის: „ელექტრული აკუმულატორები ავტომობილებისათვის; ელექტრობატარეები ავტომობილებისათვის; აკუმულატორის ქილები; ბატარეების ქილები; ანთების სისტემის ბატარეები; ანოდური ბატარეები; მაღალი ძაბვის ბატარეები; გალვანური ბატარეები; ფოტოგალვანური ელემენტები; მზის ბატარეები; ელექტრობატარეები; გალვანური ელემენტები; ელექტროაკუმულატორები; ბატარეების დამმუხტველები (Accumulators, electric, for vehicles; batteries, electric, for vehicles; accumulator jars; battery jars; batteries for lighting; anode batteries; high tension batteries; galvanic batteries; photovoltaic cells; solar batteries; batteries, electric; galvanic cells; accumulators, electric; battery chargers). დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ჩამონათვალი მიეკუთვნება ტექნიკურ მოწყობილობებს/ხელსაწყოებს, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელთა ფართო წრისათვის. მათი გავრცელება ხორციელდება მსგავსი საშუალებებითა და გზებით და მომხმარებლისათვის მათი შეთავაზება ხორციელდება რეალიზაციის ერთი და იმავე ადგილებში. ეს საქონელი შეიძლება გაიყიდოს არა მხოლიდ ერთი და იგივე მაღაზიაში, არამედ ისინი შეიძლება განთავსდნენ ერთი და იგივე დახლზე. ნიშნების განცხადებული ჩამონათვალი მიეკუთვნება ერთი და იგივე გვარეობით კატეგორიას, აქვთ მსგავსი დანიშნულება და მზადდება ერთი და იგივე მასალისაგან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 17 აპრილის N1439/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „MOTOMA“ (საიდ. N77419/03, IR1204020) მიენიჭა დაცვა

საქართველში კომპანიის „შენჟენ მოტომა პაუერ კო., ლტდ“ (Shenzhen Motoma Power Co., Ltd.) სახელზე მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი MOTOMA (საიდ. N77419/03, IR1204020) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „MOTOROLA“ (რეგ. N11699, რეგ. თარიღი 16.03.1999) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან, როგორც ვიზუალურად ისე ფონეტიკურად.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს და სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს შავ ფერში შესრულებულ რკალის გამოსახულებას. ნიშნის სიტყვიერი ნაწილი „MOTOMA“, შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „MOTOROLA“ წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს და შესრულებულია სტანდართული ლათინური ასომთავრული ასოებით.

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსია დაპირისპირებული ნიშნების საწყისი ნაწილები : „MOTO“ - „MOTO“, განსხვავებულია მათი დაბოლოება „OMA“- „OLA“ , რაც სძენს ნიშნებს ასევე, ფონეტიკურ განსხვავებას. განცხადებული ნიშანი ქართველი

მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც - „მო-ტო-მა“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი როგორც - „მო-ტო-რო-ლა“. განსხვავებულია დაპირისპირებულ ნიშნებში მარცვლების რაოდენობა, რაც უფრო მეტად ზრდის ნიშნებს შორის ჟღერადობრივ განსხვავებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალსიწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „MOTOMA“ (საიდ. N77419/03, IR1204020) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „მოტოროლა ტრეიდმარკ ჰოლდინგზ, ლლკ.“ (Motorola Trademark Holdings, LLC) სააპელაციო საჩივარი (საიდ. № 97-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 17 აპრილის N1439/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ს. დუმბაძე

მ. ჭიჭინაძე